საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ებრალიძე სოსო სევერიანის ძე



ს. ებრალიძე

ებრალიძე სოსო სევერიანის ძე (დ. 7. XI. 1936, თბილისი), ესტრადის მომღერალი. საქართვ. დამს. არტისტი (1972). 1960 დაამთავრა თბილისის II სამუსიკო სასწავლებელი, 1966 – ხარკოვის ხელოვნ. ინ-ტის დაუსწრებელი განყ-ბა საგუნდო დირიჟორის სპეციალობით. 1955-იდან მუშაობს საქართველოს სახელმწ. ფილარმონიაში. სხვადასხვა მუს. კოლექტივებთან ერთად (ვოკალური ტრიო, სახელმწ. საესტრადო ორკესტრი „რერო") მონაწილეობდა საგასტროლო კონცერტებში სსრკ-ის რესპუბლიკებსა თუ საზღვარგარეთის ქვეყნებში. ერთხანს მღეროდა (1960–61) მოსკოვში ო. ლუნდსტრემის ჯაზორკესტრშიც. 1961 ძმასთან, ა.ებრალიძესთან ერთად დააარსავაჟთა ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი "დიელო ", 1967 (ისევ ა. ებრალიძესთან ერთად) – ანსამბლი „ციცინათელა". ორივე ანსამბლი გამოირჩეოდა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით, ეროვნული რეპერტუარით, რის გამოც დიდი პოპულარობა და მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა. ე. 50-მდე სიმღერის ავტორი და შემსრულებელია („რა დაგიშავე ქალო", „ოციოდე წლის წინ", „რა ყოფილა გურია" – ვ. გოგოლაშვილის ლექსებზე და სხვ.). ე. არაერთი საკავშირო კონკურსის გამარჯვებულია. მის სიმღერებს ასრულებდა სხვადასხვა საესტრადო კოლექტივი („რერო", „ფლეში" და სხვ.). გადაღებულია კინოფილმებში „წარსული ზაფხული", „შეხვედრა მთაში". დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).